

ჩვენს მიერ შედგენილი ეკონომიკური განვითარების გეგმა (LEDP) შემუშავდა სპეციალურად ინიციატივაში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ჩართვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ LEDP გეგმა პრინციპულად თანხვედრაშია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების სტრატეგიასთან – „საქართველო 2020“, ასევე უკვე არსებულ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტთან, რომელიც 2017 წელს იქნა შემუშავებული გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კონტრაქტორი ორგანიზაციის საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG) ხელშეწყობით. ასევე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ უკვე შემუშავებული მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პარამეტრებთან.

თავის მხრივ ეკონომიკური განვითარების გეგმა (LEDP), ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებისაგან განსხვავებით, არ არის ყოვლისმომცველი დოკუმენტი და ორიენტირებულია მხოლოდ კერძო მეწარმეობის და მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებაზე, მოქალაქეების დასაქმებისა და მთიანობაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა აქტივობებზე.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის LEDP გეგმა შემუშავდა იმ მოთხოვნების, პრინციპებისა და მიზნების გათვალისწინებით, რომელებიც საფუძვლად ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“. მათგან უმნიშვნელოვანესია ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების, საგანმანათლებლო ინსტიტუტების წარმომადგენელთა და მოქალაქეთა სამუშაო პროცესში აქტიური ჩართულობა, რაც არა მარტო გეგმის მომზადების, არამედ მისი განხორციელებისა და მონიტორინგის პერიოდშიც პერმანენტულად გაგრძელდება. ამავე დროს ეს მიმართულება მუნიციპალიტეტისათვის იქნება პრიორიტეტული მისი შემდგომი საქმიანობის პერიოდში.

მუნიციპალიტეტი მთლიანად ეთანხმება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შინაარსს და მზადაა მისი თანადაფინანსებისათვის, სხვა პარტნიორებთან და დონორებთან ერთად, გეგმით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში, ამასთან ეს დაფინანსება გათვალისწინებული იქნება 2019-20120 წლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, შესაბამისი პროცედურების დაცვით.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი წარმართა ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ მოთხოვნების, რეკომენდაციებისა და მოწოდებული სახელმძღვანელოების შესაბამისად.

ეს პროცესი ეფუძნებოდა ჩართულობის, ურთიერთპატივისცემის, მონაწილეთა თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის, პროფესიულონალიზმისა და არგუმენტაციის პრიორიტეტულობის აღიარებას. ამავე დროს ყველა მონაწილე მაქსიმალურად მიისწრაფვოდა კონსენსუსის მიღწევისათვის და უმეტესი საკითხი ამ პრინციპის საფუძველზე გადაწყდა.

ადგილობრივი პარტნიორობა ჩამოყალიბდა **2017 წლის 5 ნოემბერს**; შეხვედრები იმართებოდა ყოველთვიურად. პარტნიორობაში ჩართული ორგანიზაციებისა და პირების დასახელება იხ-ეთ **დანართში – 1,ა.**

2017 წლის 15 დეკემბერს **ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით**, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში გეგმის შემუშავებისათვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა ბიზნესის, არასამთავრობო სექტორის (სამოქალაქო საზოგადოება), მერიის და საკრებულოს საჯარო მოხელეების მიერ (შემადგენლობა ო. ჭანკვეტაძე, ბ. ჭიჭინაძე, კოტე შარვაძე და სიმონ /მაღლაზ/ ქოჩიაშვილი). სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა ადგილობრივი LED ოფიცერი ო. ჭანკვეტაძე სრულად იხ-ეთ **დანართში – 1,ა.**

- ადგილობრივი პარტნიორობის შეხვედრები (ყოველთვიური შეხვედრები/თვეში ერთხელ მაინც);
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრები (ყოველ ორ კვირაში ერთხელ მაინც); /საჭიროების მიხედვით მეტად/.
- ორჯერ მოეწყო საჯარო შეხვედრები და განხილვები, ინფორმაციები იხ-ეთ დანართში 1,ა.